შარლ დე გრაი დე ფუა (Charles de Grailly de Fois) - ფრანგი სამხედრო პირი, გენერალ გოტლიბ ტოტლებენის ყოფილი ადიუტანტი, რომელიც 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მიმდინარეობისას საქართველოში გაგზავნილ რუსულ ჯარში მსახურობდა. რუსული საექსპედიციო ჯარების მისიის დასრულების შემდეგ დე გრაი დე ფუამ მოამზადა ვრცელი მოხსენება, რომელშიც წარმოდგენილია იმჟამინდელი საქართველოს პოლიტიკური და გეოგრაფიული სურათი. გარდა იმისა, რომ ავტორი უდიდეს ყურადღებას საომარ მოქმედებებს უთმობდა, მას საშუალება ჰქონდა პირადად დაემყარებინა კონტაქტი როგორც ერეკლე II-თან, ისე სოლომონ I-თან და შესაბამისად უშუალოდ დაკვირვებოდა მიმდინარე მოვლენებს.

მის მოხსენებით ბარათში მრავალი საინტერესო ეთნოგრაფიული და სოციალური ხასიათის საკითხია გაშუქებული. მათ შორის არის ქართველი, სომეხი და სხვა კავკასიელი ხალხების ყოველდღიურობასთან, რწმენა-წარმოდგენებთან და წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებული არაერთი საყურადღებო ცნობა. აღსანიშნავია, რომ დე ფუა ქართლ-კახეთის სამეფოს ქალაქებისა და დასახლებების მნიშვნელოვანი ნაწილის აღწერისას მიუთითებს, რომ ისინი მუდმივად ხდებიან ლეკების მარბიელი ლაშქრობის სამიზნეები, რაც ბუნებრივად იწვევს მათ გაუკაცრიელებასა და დასუსტებას. დაახლოებით იმავე სურათს ხატავს იმერეთის სამეფოს შემთხვევაშიც და მიუთითებს, რომ დასავლეთ საქართველო, ოსმალეთის იმპერიიდან მომდინარე მუდმივი საფრთხის პირობებში შესამჩნევად გაღარიბებული და დასუსტებულია.

მოხსენებით ბარათში გარკვეული ადგილი ეთმობა აღმოსავლეთ საქართველოს დედაქალაქის, თბილისის აღწერასაც, რომელზე მსჯელობისას ავტორი შენიშნავს, რომ იგი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ცენტრია, რომელიც კარგად არის დაცული. დედაქალაქში განსხვავებული აღმსარებლობების მქონე ქართველი, სომეხი და სხვადასხვა წარმოშობის ხალხები მშვიდობიანად, ერეკლე II-ის უშუალო მფარველობის ქვეშ, თანაცხოვრობენ.

•

საინტერესოა ნაწყვეტები დე გრაი დე ფუას მოხსენებიდან, სადაც იგი ქართველ მეფეებთან და ზოგადად, იმჟამინდელი საქართველოს პოლიტიკურ სურათთან დაკავშირებით გვაწვდის ცნობებს:

> *"საქართველო დაყოფილია შვიდ პროვინციად. კახეთი და ქართლი ეკუთვნის მეფე ერეკლეს, იმერეთი - მეფე სოლომონს, სამეგრელო - მთავარ დადიანს, გურია ეკუთვნის მთავარს, რომელიც ცნობილია გურიელის სახით... ერეკლეს დიდი ხანია ზავი ჰქონდა დადებული თურქებთან. იგი სრულიად თავისუფალი, დამოუკიდებელი იყო, არავითარ ხარკს არ იხდიდა და მათთან სრულ თანხმობაში ცხოვრობდა...თავის სამფლობელოში მათ [ქართლ-კახეთის სამეფოს თავადებს] ყველაფრის უფლება აქვთ, მაგრამ ერეკლეზე არიან მთლიანად დამოკიდებულნი და ერეკლეს ნებართვის გარეშე სრულიად არა აქვთ ნება ომის გამოცხადებისა, ლაშქრის შეკრებისა. როდესაც ერეკლე ბრძანებს, რომ ისინი შემოიკრიბონ, ისინი იძულებულნი არიან დაემორჩილონ განკარგულებას. ერეკლე გააჩენს სამართალს მათ შორის წარმოქმნილი უთანხმოებების მოსაგვარებლად."*

Le Carduel et le Caket sont partagés en sept bannières. La première est celle d'Héraclius qui est la plus considérable; il rassemble dessous tous les hommes qui sont en état de servir dans les terres qui dépendent directement de lui. La seconde est celle du Patriarche: celui-ci rassemble tous les paysans appartenant aux églises et aux monastères. Héraclius leur nomme un chef. La troisième est celle du prince Eristoff qui rassemble les paysans de ses terres, entre autres de la ville d'Akalgori qui lui appartient en propre. La quatrième est celle du Prince Amilakoivoff[35] auquel appartient la ville de Gori. La cinquième est celle du Prince Sicianoff, gendre du Prince Héraclius. Les terres de celui-ci sont situées dans le Caket. La sixième est celle du Prince Arbelianoff[36] également dans le Caket, enfin la septième est celle du Prince Malchiaveloff.[37] Les terres de ce prince dépendaient autrefois de l'Immirette, mais il s'est

soustrait à cette domination, et s'est mis sous la protection d'Héraclius. Il a d'ailleurs fait quelques conquêtes sur les Cubaniens, et a obtenu le droit d'avoir une bannière. Ces bannières sont faites en forme de petits étendards; ceux qui ont le droit d'en avoir une sont de petits souverains. Ils ont le droit de vie et de mort dans leurs terres, cependant ils dépendent entièrement d'Héraclius, ils ne peuvent point déclarer la guerre et assembler des troupes sans sa permission, et dès qu'il leur ordonne de s'assembler ils sont obligés d'obéir. Héraclius décide les contestations qui surviennent entr'eux. Lorsque le chef d'une de ces familles vient à mourir, la succession se partage par égales portions entre tous les héritiers, on reconnaît seulement un chef à qui appartient la bannière. La famille du prince Amilakoivoff s'est extrêmement multipliée et celui qui a la bannière actuellement n'est pas plus riche que les autres.

წყარო: შარლ დე გრაი დე ფუა, *დე გრაი დე ფუას ცნობები საქართველოს შესახებ,* ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა, თბილისი : მეცნიერება, 1985.